

ჟან-ბატისტ მოლიერი

# დონ ჟუანი

პიესა ითარგმნა შიხეილ თუმანიშვილისთვის  
თარგმნა მანანა ანთაძე-ციციშვილმა

პრემიერა შედგა 1981 წლის 21 ივნისს  
კინოსახიობთა თეატრში



გამომცემლობა „კენტავრი“

თბილისი

2014

**რეჟისორი - მიხეილ თუმანიშვილი**  
**მხატვარი - გოგი ალექსი-შესხიშვილი**  
**კომპოზიტორი - ვლადიმერ ჩუბინიძე**

**მოქმედი პირნი და შექმნულელებლნი:**

<b>დონ ჟუანი</b>	ზურაბ ყიფშიძე, მურმან ჯინორია
<b>სვანარელი დონა ელფირა</b>	ამირან ამირანაშვილი ნინელი ჭანკვეტაძე, ნინო ჩხეიძე
<b>გუსმანი</b>	თემურ გვალია, მიშა ჯოჯუა
<b>დონ კარლოსი დონ ალონსო დონ ლუისი</b>	ზაზა მიქაშაგაძე თაზო თოლორაია იური ვასაძე, შალვა ხერხეულიძე, პაატა ბარათაშვილი
<b>ფრანცისკი, მათხოვარი</b>	ვასილ ჩხაიძე, პაატა ბარათაშვილი, გოგა შიშინაშვილი, გია აბესალაშვილი
<b>შარლოტა</b>	დარეჯან ხაჩიძე, ნინო ბურდული
<b>მატიურინა პიერო კომანდორის ქანდაკება მოკარნახე</b>	მზია არაბული რეზო იმნაიშვილი დათო ერისთავი ლაურა რუსგიაშვილი, რუსუდან ბოლქვაძე
<b>შეყვარებული წყვილი: ქალი</b>	ნინო ბურდული, მაია ფაჩუაშვილი
<b>ვაჟი</b>	გეგა გუჯუჯიანი, ლევან აბაშიძე, გოგა შიშინაშვილი
<b>მეძაფე</b>	დარეჯან ჯოჯუა

**მოკარნახე:** გამარჯობა. როგორ ხარ? პიესა? დონ შუანი. დონ შუანი, ტენორიო, გვარია ასეთი. სევილიაში 24-დან ერთ-ერთი საუკეთესო გვარის შთამომავალი იყო. ერთხელ მან ჩხუბში მოკლა კომანდორი გონზალო ულუა და მონასტრიდან გაიტაცა მისი ქალიშვილი...

კომანდორი დაკრძალეს საგვარეულო აკლდამაში, წმინდა ფრანცისკის ტაძარში და მის საფლავზე დაადგეს უზარმაზარი სტატუა. მოკლულის ნათესავებმა და წმინდა ფრანცისკის ტაძრის ბერებმა გადაწყვიტეს, შური ეძიათ დონ შუანზე, მაგრამ რადგანაც დონ შუანი, ტენორიო, მეფისპირადი სიმპათიით და სიყვარულით სარეგბლობდა, თითოც ვერ დააკარეს... ახლა წავედი. იწყება, თვითონ ნახავთ დანარჩენს...

*I სვანარელი, გუსმანი.*

**სვანარელი:** არისტოტელემ, რაც უნდა, ის თქვას, მე მაინც ვიტყვი, რომ მთავარი ამ ქვეყნად არის თამბაქო. ვინც თამბაქოს ფასი არ იცის, ის სიცოცხლის ღირსი არ არის.

**გუსმანი:** სვანარელ, ჩემი ქალბატონი, დონია ელვირა მეტად გააოცა თქვენმა მოულოდნელმა გამგზავრებამ. იმდენად გააოცა, რომ დაუყოვნებლივ უკან გამოგედევნათ, შენმა ბატონმა ისე მოუჯადოვა სული, რომ სიცოცხლეც არ სურს, ვიდრე შენს ბატონს არ მოძებნის.

**სვანარელი:** გინდა ვითხრა, რას ვფიქრობ?! თქვენი აქ ჩამობრძანებით არაფერი შეიცვლება და საერთოდ, აჯობებდა შინ დატეულიყავით!

**გუსმანი:** რატომ? სვანარელ, საიდან გაქვს ეგ უკეთური აზრები. იქნებ შენმა ბატონმა გაგანდო, გული გამიცვიფრდა!

**სვანარელი:** არაფერიც არ უთქვამს, მაგრამ იმდენი რამ მინახავს და გამიგონია, რომ ვიცი, რა როგორ ხდება!

**გუსმანი:** მაშ დონ შუანის უეცარი გამგზავრება ღალატია! რად

შეურაცხყო მან ესოდენ დონია ელვირას ნაზი გრძნობები?!  
ასეთი წარჩინებული გვარის კაცია...

**სგანარული:** გვარი რას უშლის?

**გუსმანი:** ცლქმრობის წმიდათა წმიდა მოვალეობანი?! ესეც არ უშლის?

**სგანარული:** შენ რა იცი, რა კაცია დონ შუანი!

**გუსმანი:** სჩანს, არ მცოდნია, რაკი ასე ვერაგულად გვატყუებს!

სად გაქრა მისი მგზნებარე სიყვარული, ალერსი, თხვრა, დაპირებები. რა წერილებს სწერდა, რას არ ეფიცებოდა. მონასტრის წმინდა კედლებმაც კი ვერ შეაკავა, იმდენად დიდი იყო დონია ელვირას სიყვარული.

**სგანარული:** შენ რომ ჩემსავით იცნობდე იმ ვაჟბატონს, მაშინ აღარ გაიოცებდი. მე არ გეუბნები, რომ დონია ელვირა აღარ უყვარს, ეს მე ჯერ თვითონაც არ ვიცი. მაგრამ ჩვენს შორის დარჩეს და... ჩემი ბატონი დონ შუანი, გეტყვი ვინც არის! ბოროტმოქმედი, საზარელი ურჩხული, ძაღლი, სატანა, ერეტიკოსი, რომელსაც არც ღმერთი სწამს და არც ეშმაკი! ცხოვრობს ეპიკურელი ღორივით, ნამდვილი სარდნაბაღია. არად დაგვიდევთ ქრისტიანულ მოძღვრებას. შენი ქალბატონი ხომ შეერთო? ასე იცის, ჟინი რომ მოუგლის. შენც შეგირთავს, ძაღლსაც, კატასაც. ქორწინება მისთვის რა არის, როგორ გვინია? ხაფანგი, რომელშიაც იგი ლამაზმანებს იტყუებს. ვისზე გინდა რომ არ იქორწინებს, ქალზე, ქალწულზე, აზნაურზე, მდაბიოზე, მისთვის სულერთია. ახლა ის რომ ჩამოგიფეხლო, სად და რამდენჯერ იქორწინა, სადამომდე ვერ მოვათავებ! გიკვირს არა? გაფითრდი კიდევ! მეტის ატანა აღარ შემიძლია, მაგრამ იძულებული ვარ, ვემსახურო. მეშინია და იმიტომ. აკერ ისიც, მოდის. დაიცა, რაღაც ძალიან ბევრი გითხარი, სადმე თუ წამოგცდა, იცოდე, ვიტყვი, მიგონებს-მეთქი, გასაგებია?

*II დონე ჟუანი, სგანარელი.*

**დონ ჟუანი:** ის ვინ იყო, შენ რომ ესაუბრებოდი? რაღაც გუსმანს მიაგავდა.

**სგანარელი:** დიას, ასე ვთქვათ...

**დონ ჟუანი:** მართლა? მაშინ ის იყო...

**სგანარელი:** დიას.

**დონ ჟუანი:** რამდენი ხანია, რაც ამ ქალაქში იმყოფება?

**სგანარელი:** წუნანდელს აქეთ.

**დონ ჟუანი:** რამ მოიყვანა?

**სგანარელი:** არა მგონია, მიზეზს ვერ სვდებოდე!

**დონ ჟუანი:** ალბათ ჩვენ გამოგვყვა!

**სგანარელი:** დიას, მიზეზს შეკითხვობოდა.

**დონ ჟუანი:** შენ რა უთხარი?

**სგანარელი:** არ ვიცო-მეთქი. თქვენ რომ ჩემთვის არაფერი გიბრძანებიათ.

**დონ ჟუანი:** შენ როგორ ფიქრობ, რატომ წამოვედი?

**სგანარელი:** მე? მე ვფიქრობ რომ... გთხოვთ მთმითეგოთ... რომ თქვენ ახალი სიყვარული გწყურათ!

**დონ ჟუანი:** ასე გგონია?

**სგანარელი:** ასე მგონია.

**დონ ჟუანი:** ბატონისან სიტყვას გაძლეე, გამოიცანი! დიას, ჩემი ოცნებების საგანი დონია ელვირა აღარ არის, ახლა სხვა ვასწავლო!

**სგანარელი:** დიქრითო დიდებულო, ერთ ბორკილს იხსნით, მეორეს იბამთ.

**დონ ჟუანი:** ცუდად ვიქცევი?

**სგანარელი:** ეჰ, ბატონო ჩემო...

**დონ ჟუანი:** მითხარი, მითხარი!

**სგანარელი:** რა თქმა უნდა, კარგად იქცევეთ, რახან ასე გნებავთ, მაგრამ ასე რომ არ გნებავდე...

**დონ ჟუანი:** პირდაპირ მითხარი, რას მკუბნიხები.

**სგანარელი:** არ არის ლამაზი თქვენი საქციელი... ის, რომ პირველივე შემხვედრ ქალზე ჭკუას კარგავთ!

**დონ ჟუანი:** მაშ რას მიბრძანებ, მთელ ქვეყანას ზურგი შევაქციო?! დიდებული რამ გიფიქროა! წუთიერი გატაცებისთვის სამუდამო ერთგულება მეტად ძვირი საფასურია. რომელი სიყვარული ღირს იმად, რომ მის გამო ყმაწვილკაცობაშივე გარდავიცვალო და ყველა სხვა ქალს გამოვუთხოვო?! არა, ერთგულება სულელების მოგონილია! ნებისმიერ მზეთუნახავს კანთონიერი უფლება აქვს, მომხიბლოს და გამოიტაცოს, მიუხედავად იმისა, თუ რიგით მერამდენე შემომყურება ცხოვრების გზაზე. სიტყვა მივეცი, თვალები ხომ არავისთვის არ მიმიცია და სხვათა ღირსებებს თვალნათლივ ვხედავ. ეს ჩემი გული ყველასია. სიყვარულის ეშნი მის ნაირფერობაშია. გატაცების პირველი თრთოლა აუწერელი ნეტარებაა. რა შეედრება იმ განცდას, როცა ნელ-ნელა, თანდათან იპყრობ შენი გატაცების საგანს. ოხრავე, გმინავე, ცრემლებს ღვრი და ამით იმარჯვებ მორცხვ და უმანკო სულზე, რომელიც არ გნებდება. შენ მაინც იბრძვი. გადალახავ ერთ დაბრკოლებას, მერე მეორეს, და ბოლოს, თვითონაც ვერ გაიგებ როგორ, ქალს იქით წაიყვან, საითაც უნდა წაიყვანო! მერე კი გძინავს სიყვარულის გარინდულ სიმშვიდეში, გძინავს, ვიდრე ვნებათა ახალი ტალღა არ გამოგადგომებს და მოსალოდნელი გამარჯვების ჟინით არ დაგათრობს. არაფერია იმაზე საამო, რომ დაიპყრო ქალი, რომელიც არ გნებდება და მეც, დამპყრობლის პატივმოყვარეობით აღსავსე, მივქრი გამარჯვებიდან გამარჯვებისკენ, მივქრი უსაზღვროდ, რადგან უსაზღვროა ჩემი ვნებანი, უსასრულოა ჩემი სიყვარული და აღექვსანდრე მაკედონელის მსგავსად, ვინატრებდი, რომ არსებობდეს სხვა პლანეტები, რათა შემდეგ იქ გავაგრძელო ეს დაპყრობები!

**სგანარული:** ისე აწყობილად ლაპარაკობთ, თითქოს წიგნიდან დაიწყოპირეთ.

**დონ ჟუანი:** კიდევ რას იტყვი?

**სგანარული:** ისე ატრიალებთ ყველაფერს, გამოდის, თითქოს

მართალი ხართ. მე წყლან მოვამზადე, რაც უნდა მეთქვა, მაგრამ თქვენმა მჭევრმეტყველებამ ყველაფერი ამირდაშირა. შეძღვევისთვის ჩავიწერ ჩემს აზრებს და მაშინ ვიკამათოთ.

**დონ შუანი:** ეგრე იყოს!

**სგანარელი:** თღონდ, ეგ თქვენი ცხოვრების ხასიათი...

**დონ შუანი:** როგორია ეგ ხასიათი?

**სგანარელი:** თ, ხასიათი დიდებული, მაგრამ... თვეში ერთხელ ცოლის შერთვა...

**დონ შუანი:** მაგას რა სჯობია!

**სგანარელი:** არა, მე მესმის, რომ ეგ ყველაფერი ფრიად საამოა, მეც არ ვიტყვდი მაგაზე უარს, მაგრამ ეს ხომ მკრეხელობაა!

**დონ შუანი:** კმარა! ეს ჩემი და ღმერთის საქმეა და უშენოდაც გავერკვევით!

**სგანარელი:** ღმერთთან ხუმრობა არ გამოვა.

**დონ შუანი:** ჭკუის დარიგებას ვერ ვიტან!

**სგანარელი:** ამას თქვენზე არ ვამბობ. ხომ არსებობენ ამ ქვეყნად მეტად თავსედი ადამიანები, რომლებიც სულ მრუშობენ, გაურკვეველი მიზეზით. აი ასეთი კაცი რომ ჩემი ბატონი ყოფილიყო, ავდგებოდი, და ვეტყვდი: „როგორ ბედავ ღმერთთან ხუმრობას, შე საბრალო მატლო, შე ჭიადუა“, ასე ვეტყვდი იმ ვაჟბატონს, ხომ არ გგონია, რომ რაკი დიდგვაროვანი ხარ და ეგ ლამაზი ტანისამოსი გაცვია (ამას ყველაფერს იმ ვაჟბატონს ვუბნები, თქვენ კი არა), მაგიტომ სიმართლის თქმას ვერაფერს გაგებდავს! მე გაგებდავ და ვეტყვი, რომ ადრე თუ გვიან ყველა უნწმუნო დაისჯება, და რომ...

**დონ შუანი:** კმარა!

**სგანარელი:** ჩვენ რაზე ვლაპარაკობდით?

**დონ შუანი:** იმაზე, თუ როგორ მომიხბლა ერთმა ლამაზმა, რომლის გამოც აქეთ გამოვემგზავრეთ!

**სგანარელი:** იმის არ გეშინიათ, ამ ქალაქში ექვსი თვის წინათ კომანდორი რომ მოკალით?

**დონ ჟუანი:** მე იგი როგორც წესია, ისე მოგვკალი!

**სგანარელი:** ის ვერ მოგედავებათ!

**დონ ჟუანი:** თანაც კანონმა შემიწყალა!

**სგანარელი:** კანონმა კი, მაგრამ ნათესავები...

**დონ ჟუანი:** გვეყო ამდენი საუბარი ხიფათზე, ფათურაკებზე. რაიმე სასიამოვნო მოვიფიქროთ.

*(დონ ჟუანი დაინახავს წყვილს, რომელიც მაგიდასთან წის.*

*დონ ჟუანი ქალს საცეკვაოდ გაიწვევს).*

**დონ ჟუანი:** თქვენ მეტად ტურფა რამ ხართ. ამ ქალაქში ჩამოვიყვანათ ერთმა ყმაწვილმა, რათა ცოლად შევიერთოთ. ჯერ არ მინახავს ორ ადამიანს ასე უყვარდეს ერთმანეთი, თქვენმა ურთიერთგატაცებამ ისე ამანთო, რომ ეჭვიანობამ სიყვარული დაბადა ჩემში. გადავწყვიტე, დავარდვიო ეს კაცშირი. რა არ ვიფიქრე, მაგრამ, მაგრამ ჯერ ვერაფერს ვაგნდი. ახლა უკიდურეს ზომას მივმართავ.

*(თავისთვის)* ეს ქალი უნდა მოვიტაცო!

**სგანარელი:** ბატონო ჩემო!

**დონ ჟუანი:** რა მონდა?

**სგანარელი:** იმას რა სჯობია, კაცი მართო სიამოვნებაზე რომ ფიქრობს...

**დონ ჟუანი:** შენც ჩემთან ერთად წამონვაღალ.

**სგანარელი:** თქვენი მეუღლე?!

**დონ ჟუანი:** ესეც აქ არის? რატომ არ მითხარი?! შე ვირო!

**სგანარელი:** არ გიკითხავთ!

**დონ ჟუანი:** გაგიჟებულა, სამგზავრო ტანისამოსი არც კი გამოსუცვლია.

*III დონ ჟუანი, დონია ელვირა, სგანარელი.*

**დონია ელვირა:** იქნებ იხებოთ და მიცნოთ, დონ ჟუან! თუ შეიძლება იკადრეთ და გამოიხედეთ!

**დონ ჟუანი:** თქვენ მე მაცნებთ, ქალბატონო, არ მოგეკლოდით!



**დონია ელფიროა:** ვხედავ, რომ არ მომელოდით და გაოცებული ბრძანდებით დიდად, ოღონდ ეგ თქვენი გაოცება ჩემს ეჭვს ადასტურებს. თ, რა სუსტი და მიმდობი გული მქონია, ვერა და ვერ ვიწმუნე თქვენი დალატი, თუმცა საბუთი საკმაოზე მეტიც იყო. იმდენად კეთილი, არა, იმდენად სულელი ვარ, რომ თავს ვიტყუებდი, ცდება-მეთქი ჩემი გონება. ათასი მიზეზი მოვიგონე, რათა ამეხსნა თქვენი ჩემდამი გულგრილობა. ეჭვი დაფორგუნე, არ შეგბღალე პატიოსანი თქვენი სახელი, მაგრამ ვხედავ, რომ... თქვენი შესვენება, აი ეგ გამონედა ბევრს მეუბნება, მაგრამ მაინც თქვენგან მოვითხოვე, მითხრათ მიზეზი ასე უეცრად გამომეზაგრების. მითხრათ, დონ ჟუან, მანტერესებს, თავს რით იმართლებთ.

**დონ ჟუანი:** ქალბატონო, მიზეზს სგანარელი მოგახსენებთ.

**სგანარელი:** მე?

**დონია ელფიროა:** მითხრათ, სგანარელ, ჩემთვის სულერთია, ვინ მეტყვის.

**დონ ჟუანი:** მიდი, უთხარი!

**სგანარელი:** რა ვუთხრა?

**დონია ელფიროა:** მითხრათ.

**სგანარელი:** რატომ აყენებთ თქვენს ერთგულ მსახურს ასეთ სულელურ მდგომარეობაში!

**დონ ჟუანი:** იტყვი თუ არა, ბოლოს და ბოლოს!

**სგანარელი:** ქალბატონო!..

**დონია ელფიროა:** დიას!

**სგანარელი:** ბატონო ჩემო!

**დონ ჟუანი:** მიდი, მიდი!

**სგანარელი:** ქალბატონო, დამპყრობლები, ალექსანდრე მაკედონელი და სხვა პლანეტები! მიზეზი ეს არის.

**დონია ელფიროა:** დონ ჟუან, ამომიხსენით ეს გამოცანა!

**დონ ჟუანი:** ქალბატონო, გამოვიტყდებით...

**დონია ელფიროა:** სასახლის კარზე გაიზარდეთ და თავის დაცვა არ შეგიძლიათ? რისი გრცხვინათ, შეიმოსეთ კეთილშობილი

პირფერობით და დამიმტკიცეთ, რომ ძველებური გზებით გიყვარვართ, რომ თქვენ მეტად მნიშვნელოვანმა საქმემ გააძულათ, საჩქაროდ გამოძგზავრებულებავით, რომ მე მმართველს – უკან დაგბრუნდე, ხოლო თქვენ საშუალება მოგეცემათ თუ არა, წამსვე წამოხვალთ. ჩემთან განშორება ისეთივე სატანჯველია, როგორც ხულის სხეულთან გაყრა – აი ასე უნდა დაიცვათ თავი, თქვენ კი დამდგარხართ და რაღაცას მელუღლულებით.

**დონ ჟუანი:** პირფერობის არც ნიჭი მაქვს და არც უნარი. პირდაპირი კაცი ვანლაგართ, ვერ დაგიმტკიცებთ, რომ ძველებური გზებით მიყვარხართ და თუ დაგტოვეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ დაგტოვეთ. მიზეზი სრულიადაც არ ვახლავთ ის, რაც თქვენ მოიგონეთ. მაკედონელი! არა. სინდისი მქენჯნის, ქაღბატონო. თვალი ამენილა და დაგინახე, თუ რა დიდი ცოდვაა ჩემი თქვენდამი სიყვარული. გამოგითაცუთ მონასტრიდან, დაგბრუნდეთ წმინდა აღთქმანი. ღმერთი ამას არ მახატებს. დიახ, შეგშინდი, უძღური ვარ ღმერთის წინაშე. ამიტომ გადავწყვიტე, დაგივიწყოთ და ნებას ვაძლევთ, დაუბრუნდეთ თქვენი მონასტრის კედლებს. ნუ მაძულებთ, თქვენი ხული კვლავაც შეგბღალო...

**დონია ელფირა:** არამზადა! ახლა უკვე ყველაფერს მიგნვდი. სამწუნაროდ, გვიანლა არის და ამიტომაც ასე დამძიდა გული... მაგრამ იცოდე, ღმერთი დაუსჯელს არ დაგტოვებს.

**დონ ჟუანი:** გესმის, სგანარულ, ღმერთით გვაშინებს!

**სგანარული:** ვინა გგონივართ, ჩვენ არ გვეშინია იმისი...

**დონ ჟუანი:** ქაღბატონო...

**დონია ელფირა:** კმარა! აღარ მოგისმენთ! ისედაც ბეგრი ილაპარაკეთ. არ გეგონოს, საყვედურები ან წყევლა-კრულვა დაგაყართ. ჩემს რისხვას სრულად შეგინახავ და შურს ვიძიებ. გაგბეგონებ. დონ ჟუან, ღმერთი დაუსჯელს არ დაგტოვებს, ხოლო თუ ღმერთის არ გეშინია, არ გეშინია? გეშინოდეს შეურაცხყოფილი ქალის შურისძიების!

*IV დონ ჟუანი, სვანარული.*

**სვანარული:** *(მოკარნახეს)* სინდისი სომ არ გაეღვიძა?

**დონ ჟუანი:** ანლა მოვიფიქროთ, როგორ დავსვლართოთ ჩვენს სატროფიალო ფანდები!

**სვანარული:** *(მოკარნახეს)* ო, რა საშინელ ბატონს ვემსახურები!

*V შარლოტა, ბიერო.*

**შარლოტა:** ბიერო, რა მისდა?

**ბიერო:** ისინი მე გადავარჩინე. ერთი დიდგვაროვანია, მეორე – მისი მსახური. როგორ იყო, მოგიყვები. მე და სქელი ლუკა ნაპირთან ვისხედით. ერთმანეთს ვეწუმრებოდით და თავში ტალახს ვეხროდით. ასე სუმრობა-სუმრობაში რო ვართ, გაფიქვადე და ზღვაში რაღაც ფართხალებს. მერე გაფიქვადე და აღარ არის. ეი, ლუკა, ვეუბნები, აი იქ ვიღაც იხრჩობა-მეთქი. მეუბნება, გეჩვენებაო, ელეთმეღეთი გაქვს თვალშიო, მეუბნება. მოდი, დამენიღავე-მეთქი, ვეუბნები. ავიღე და დავახეთქე თონი სუ, ვითომც ჭიქა ღვინო გადამეკრას. ამ დროს ის კაცი ყვირის – მიშველეთო! შეგცურდით ნავით და ორიგენი ამოვართოეთ. შინ წავიყვანე და ცეცხლთან დავსვი. სულ გაიხადეს, რო გამშრალიყვინე. მერე მატოურინა მოვიდა და სულ თვალს უკრაფდნენ ერთმანეთს. ასე იყო ეს ამბავი, ჩემო შარლოტა.

**შარლოტა:** მაშ შენ ამბობ, ერთი მათგანი დიდი ვინმეა?

**ბიერო:** ჰო, მე რო არ ვყოფილიყავი, დაიხრჩობოდნენ.

**შარლოტა:** ისევე ტიტლიკანები სხედან? შენ ისე დამაინტერესე, უნდა მივიდე და ვნახო.

**ბიერო:** დაიცა, რაღაც უნდა ვითხრა.

**შარლოტა:** მითხარი.

**ბიერო:** იცი, რა, შარლოტა, აი რო მიყვარხარ,ნო იცი და მინდა ცოლად შევირთო, მაგრამ არ მომწონს, როგორ იქცევი.

**შარლოტა:** როგორ ვიქცევი?

**ბიერო:** გინდა რო მაწყენინო.

**შარლოტა:** გაწყენინო?

**ბიერო:** ჰო, არ გიყვარვარ...

**შარლოტა:** აჰ, სულ ეგ არის?

**ბიერო:** ცოტაა?

**შარლოტა:** კარგი რა, ბიერო, სულ ერთი და იგივე უნდა ილაპარაკო?

**ბიერო:** ერთი და იგივეს იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ერთი და იგივე ხდება. ერთი და იგივე რომ არ ხდებოდეს, არც შე ვილაპარაკებდი ერთი და იგივეს.

**შარლოტა:** რა გინდა, გამაგებინე.

**ბიერო:** რა და მინდა რო გიყვარდე.

**შარლოტა:** მიყვარხარ.

**ბიერო:** არ გიყვარვარ. შე მიყვარხარ და შენი გულისთვის რას არ ვაკეთებ. დავძვრები ხის კენწეროებზე, რომ შაშვები ამოგიყვანო ბუდიდან, ხომ შეიძლება ჩამოგვარდე და კისერი მოვიტუხო. შენი დღეობაა და მეგოილინებს შე ვქირაობ. შენ კი არაფერი – შეაყარე კედელს ცერცვი. იცო რა, შარლოტა, არ არის კარგი, როცა ვინმეს უყვარხარ, შენ კი არ გიყვარს.

**შარლოტა:** როგორ არ მიყვარხარ.

**ბიერო:** ცუდად გიყვარვარ.

**შარლოტა:** საინტერესოა, როგორ უნდა მიყვარდე.

**ბიერო:** არა, როცა მართლა უყვართ, ამას ყველა ხედავს, აბა ის ტომასა-ფაშეაშა ნახე, რობენი რო უყვარს! საკმარისია, გვერდით ჩაუაროს, რომ ან უნდა გაკუნძროს, ან ერთი წაუთაქოს. ამასწინათ სკამზე ჩამომჯდარიყო, მივიდა და ძინს გადააკოტრიალა. აი, სიყვარული ეს არის! შენ კი – გინდ ვყოფილვარ და გინდ არა. ძალიან ცუდად მექცევი!

**შარლოტა:** როცა ვარ, ესა ვარ. რა გქნა!

**ბიერო:** როგორ თუ რა ქნა?! როცა გიყვარს, უნდა დაამტკიცო.

**შარლოტა:** როგორც შემიძლია, ისე მიყვარხარ. თუ არ მოგწონს, შენც ადექი და სხვა შეიყვარე.

**ბიერო:** აჰა! აბა რო გიყვარდე, მაგას მეტყვოდი!

**შარლოტა:** ტვინი ამომიჭამე და გითხარი.

**ბიერო:** ტვინი კი არ ამოგიჭამე, გეუბნები, ცოტა უფრო ალერსიანად მომექეცი-მეთქი.

**შარლოტა:** მოდი, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ და იქნებ თავისთავად გამოვიდეს ის, რაც შენ გინდა!

**ბიერო:** მაშ სელი მოიტა, შარლოტა!

**შარლოტა:** აჰა!

**ბიერო:** ოღონდ შემიხრდი, რომ უფრო ძალიან შემეყვარებ.

**შარლოტა:** ვეცდები, როგორც შემიძლია, მაგრამ სიყვარული სომ თავისთავად უნდა მოვიდეს. ეს ვინ არის? ის ბატონი სომ არ არის, ბიერო?!

**ბიერო:** ის არის.

**შარლოტა:** რა ლამაზია! ცოდო არ იქნებოდა, ეგ დამხრჩვალაიყო!

**ბიერო:** ახლავე მოვალ.

## *VI დონ შუანი, სგანარული, შარლოტა*

**დონ შუანი:** სგანარულ, ქარიშხალმა იმ ნავთან ერთად ჩემი გეგმებიც თავდაყირა დააყენა. მაგრამ სამაგიეროდ ის გლეხის გოგონა, აქ რომ იყო, იმდენად მომხიბლავია, მზად ვარ, ჩვენი მარცხიც კი გადავიფიქვო. უკვე თითქმის დავიბეყარი, დიდხანს აღარ მომიხდება ხვნეშა და ოხვრა.

**სგანარული:** პირდაპირ მაცხებთ, ბატონო ჩემო! ეს-ეს არის სიკვდილს გადაურჩით და იმის ნაცვლად, რომ ზეცას მადლობა შესწირით მოწყალებითვის...

**დონ შუანი:** გეყოფა! *(დაინახავს შარლოტას)* ოჰო! სგანარულ, ეს გოგონა აქ საიდან გაჩნდა? რა ლამაზია, იმას არაფრით ჩამოუყვარდება. სომ მართალია?

**სგანარული:** მართალია.

**დონ შუანი:** *(შარლოტას)* რას უნდა ვუმაღლოდე, მშვენიერო, თქვენს ხილვას?! ნუთუ აქ, ამ ტყეში და ღრეში არსებობენ მსგავსი ლამაზმანები!

**შარლოტა:** როგორც ხედავთ.

**დონ ჟუანი:** თქვენ ამ სოფლიდან ბრძანდებით?

**შარლოტა:** დიას, ბატონო.

**დონ ჟუანი:** აქ ცხოვრობთ?

**შარლოტა:** დიას.

**დონ ჟუანი:** რა გქვიათ?

**შარლოტა:** შარლოტა, თქვენის ნებართვით.

**დონ ჟუანი:** რა ლამაზია! რა თვალები აქვს, შიგ სულში იცქირებიან.

**შარლოტა:** რატომ მაწითლებთ!

**დონ ჟუანი:** სგანარეულ, შენ რას იტყვი, ხომ ლამაზია. მოტრიალდით, თუ შეიძლება. რა მოქნილი წველია! თავი ოდნავ მაღლა ასწიეთ, აბა თვალები ფართოდ გაანხლებთ. კბილები? მშვენიერია! ტუჩები? მონებლული ვარ, მსგავსი სილამაზე ჯერ არ მინახავს.

**შარლოტა:** ნება თქვენია, მაგრამ ალბათ დამცინით, ბატონო!

**დონ ჟუანი:** დაგცინით?! დიემრთმა დამიფაროს! მე თქვენ მიყვარნართ და გულწრფელად გეუბნებით, რასაც ვამბობ!

**შარლოტა:** თუ ასეა, მადლობა მომიხსენებია!

**დონ ჟუანი:** მადლობა მე კი არა, დედათქვენს და მამათქვენს მოახსენეთ.

**შარლოტა:** თქვენ ისე აწყობილად ლაპარაკობთ, ბატონო, რომ ვერ მოგიფიქრე, რა გიპასუხოთ.

**დონ ჟუანი:** სგანარეულ, შესედე ამ მშვენიერ ხელებს!

**შარლოტა:** მშვენიერი? ჩემი გაშავებული ხელები?!

**დონ ჟუანი:** რას ბრძანებთ! უმშვენიერესი ხელები გაქვთ. ნება მიბოძეთ, ვემთხვიო მათ.

**შარლოტა:** მცოდნეოდა მაინც, წესიერად გაფინჯავდი ქატოთი.

**სგანარეული:** კარგი იქნებოდა ქატოთი.

**დონ ჟუანი:** მშვენიერო შარლოტა, თქვენ ალბათ გათხოვილი არ იქნებით.

**შარლოტა:** არა, ბატონო, მაგრამ მალე უნდა მივთხოვდე პიეროს, ჩვენი მეზობელი სიმონეტას ვაჟს.

**დონ ჟუანი:** პიერო ვინ არის?

**სგანარეული:** სიმონეტას ვაჟი.

**დონ ფუანი:** სიმონეტა ვინ არის?

**სგანარეული:** პიეროს დედა.

**დონ ფუანი:** როგორ, ესოდენ მომხიბლავი ასული უბრალო გლეხუჭას მიჰყვებით? არა და არა. ეგ შეურაცხყოფს თქვენს სილამაზეს. ეს იქ, ზეცაში წყდება და ამიტომაც გამომგზავნა მე დიპროტმა, რომ ჩაგშალო ეგ ქორწინება.

**მოკარნახე:** მიყვარნართ, შარლოტა, და ახლა თქვენზეა დამოკიდებული, მოშორდეთ აქაურობას და დაიკავით ის ადგილი, რასაც თქვენ ჭეშმარიტად იმსახურებთ. ჩემი სიყვარული სრულიად მოულოდნელად დაიბადა, მაგრამ დამნაშავე თქვენმა ხართ. თქვენმა სილამაზემ თხუთმეტ წუთში ვააკეთა ის, რასაც სხვა ქალის სილამაზე ნახევარ წელიწადს მაინც მოუნდებოდა.

**შარლოტა:** მინდა დაფიჯერო, რასაც თქვენ ამბობთ, სიამოვნებით დაფიჯერებდი, მაგრამ გამიგონია, ბატონები მატყუარები არიან, სულ იმას ფიქრობენ, როგორ მოატყუონ სულელი გოგოები.

**დონ ფუანი:** მე მასეთი არა ვარ!

**სგანარეული:** როგორ გეკადრებათ!

**შარლოტა:** მე ერთი საწყალი გლეხის გოგო ვარ, მაგრამ პატიოსნების დაკარგვას სიკვდილი მირჩევნია.

**მოკარნახე:** რაოდენ ბნელი სულის პატრონი უნდა იყოს ადამიანი, რომ თქვენსთან ანგელოზი მოატყუოს! შეგაცდინთ? არა, არა, სინდისი მაგის ნებას არ მომცემს. მიყვარნართ შარლოტა, და გადავწყვიტე, ცოლად შეგირთოთ. ამაზე მეტი რა ვაგაკეთო?

**დონ ფუანი:** მოწმე აი ეს იქნება!

**სგანარეული:** დიან, დიან, რამდენჯერაც გნებავთ, იმდენჯერ შეგირთავთ.

**დონ ფუანი:** ეჰ, შარლოტა, თქვენ მე არ მიცნობთ! რა უსამართლოდ მექცევით, სხვებს რომ მადარებთ! მატყუარები არიან, მართალია, რომლებიც სულ იმას ფიქრობენ, როგორ

შეაცდინონ უმანკო გოგონები. გთხოვთ, მათი სიიდან ამომიღოთ.

**სგანარელო:** ღმერთო, ერთხელ მაინც...

**შარლოტა:** ღმერთო, არ ვიცი, მართლა მუუბნებით თუ არა, მაგრამ ისე გამოდის, რომ ვიჯერებ!

**ღონ შუანი:** დამიჯერეთ, დამიჯერეთ! თხოვნას კვლავ გაგიმეორებთ, თანახმა ხართ თუ არა, გახდეთ ჩემი ცოლი?

**შარლოტა:** მე – კი, მაგრამ დეიდაჩემის თანხმობაც საჭიროა...

**ღონ შუანი:** დეიდაც გყავთ? მაშ, მომეცით თქვენი სელი, შარლოტა!

**შარლოტა:** თღონდ ძალიან გთხოვთ არ მომატყუოთ.

**ღონ შუანი:** როგორ, ისევე ეჭვიანობთ?! უსაშინლესი ფიცით შემოგფიცავთ: დაე ზეცა...

**შარლოტა:** არა, ფიცი რა საჭიროა, ისედაც მჯერა.

**ღონ შუანი:** მაშ ერთხელ მაკოცეთ, თანხმობის ნიშნად.

**შარლოტა:** არა, ბატონო, სჯობს მოიცადოთ ქორწინებამდე. შემდეგ კი რამდენსაც ინებებთ, იმდენს გაკოცებთ!

**ღონ შუანი:** კეთილი, ჩემო მშვენიერო შარლოტა, როგორც ინებებთ.

### *VII ღონ შუანი, სგანარელო, ბიერო, შარლოტა.*

**ბიერო:** ძალიან გახურებული ხარ, ფილტვების ანთების არ გეშინია?

**ღონ შუანი:** ეს თაგხედი ვიდაა?

**სგანარელო:** სიმონეტას ვაჟი.

**ბიერო:** ჩემს საცოლეს თაგი დაახებე!

**ღონ შუანი:** რა ვადრიალებს, სიმონეტას ვაჟო!

**შარლოტა:** დამშვიდდი, ბიერო, რა მონდა?

**ბიერო:** რა მონდა? ის, რომ ნებას არ ვაძლეე!

**ღონ შუანი:** ოჰო!

**ბიერო:** ასე გგონიათ, ყველაფრის ნება გაქვთ?!



**შარლოტა:** ბიერო, ნუ ცხარობ!

**ბიერო:** დიანაც ვცხარობ! როგორ იქცევი, ნებას არ ვაძლეე...

**შარლოტა:** ბიერო, ცუდად ნუ ფიქრობ, ეს ბატონი ჩემზე დაქორწინებას აპირებს. ასე რომ ტყუილად ბრაზობ!

**ბიერო:** რათ? ვერ მოგართვით! შენ ჩემი დანიშნული ხარ.

**შარლოტა:** თუ მართლა გიყვარვარ, უნდა გიხაროდეს, რომ სამდვილი ქალბატონი გაგხდები.

**ბიერო:** როგორ არა! მოგვლავ, სხვას არ გაგაყოლებ!

**შარლოტა:** ბიერო, მე თუ ქალბატონი გახდები, კარაქს და ყველს შენგან ვიყიდი ხოლმე.

**ბიერო:** ვერ მოგართვი! ეგ რომ მცოდნოდა, წყლიდან ამოვიყვანდი კი არა, ნიჩაბს ჩაგვცხებდი თავში.

**დონ ჟუანი:** დამაცა!

**ბიერო:** *(მეორე მხრიდან შემოურბენს)* უცებ არ შემაშინო!

წავალ, დეიდამის მოგახსენებ ყველაფერს!

### *VIII დონ ჟუანი, შარლოტა, სვანარელი.*

**დონ ჟუანი:** *(შარლოტას)* სულ მალე ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება და ამ ბედნიერებას არაფერზე არ გავცვლი! რამდენი ნეტარება მელის, თქვენ რომ ჩემი ცოლი გახდებით და მე რომ...

### *IX დონ ჟუანი, მატეურინა, შარლოტა, სვანარელი.*

**მატეურინა:** აქ რას აკეთებთ, ბატონო ჩემო? შარლოტას რაზე ესაუბრებით? მასაც სიყვარულს ხომ არ ეფიცებით?

**დონ ჟუანი:** *(მატეურინას, ჩუმად)* არა, პირიქით, მეუბნება, ცოლად მინდა გამოგყვეო, მე კი ვეუბნები, არა, მატეურინა უნდა შეგირთო-მეთქი.

**მატეურინა:** ეგ როგორ, შარლოტა!

**დონ ჟუანი:** *(მატეურინას, ჩუმად)* ნუ ელაპარაკებით, მაინც ვერ გადაათქმევინებთ.

**შარლოტა:** რაო, მატეურინა?!

**დონ ჟუანი:** *(შარლოტას, ჩუბად)* ტყუილად ცდილობთ, რაიმე გააგებინოთ, არ ღირს...

**შარლოტა:** მატეურინა, არა გრცხვყნია, სენიორი მელაპარაკება და შენ ეჭვიანობ!

**მატეურინა:** ეგ სენიორი შენზე ადრე მე მელაპარაკა.

**შარლოტა:** შესაძლოა მე უფრო გვიან დამელაპარაკა, მაგრამ ცოლად შერთვას მე შემიზნდა.

**მატეურინა:** ბოდიში, შენ კი არა, მე შემიზნდა.

**შარლოტა:** მე მაინც ვიცი, რა როგორ არის.

**მატეურინა:** თავს ნუ ისულებ, დამიჯერე, რასაც გეუბნები!

**შარლოტა:** მოდი, თვითონ გვიხსოთ, თქვას, თუ ვტყუი! სენიორ, თქვენ მას შეპირდით, ცოლად შეგერთავო?

**დონ ჟუანი:** *(ჩუბად)* დამცინით?

**მატეურინა:** მართალია, თქვენ მას სიტყვა მიეცით, ცოლად შეგერთავო?

**დონ ჟუანი:** *(ჩუბად)* აბა ეგ რამ გაფიქრებინათ!

**შარლოტა:** *(დონ ჟუანს)* აბა, გვითხარით! ბოლოს და ბოლოს!

**მატეურინა:** გვითხარით!

**დონ ჟუანი:** რა უნდა ვითხრაოთ. თქვენ ორივე ამტკიცებთ, რომ მე თქვენ ცოლობა გთხოვეთ. განა თითოეულმა თქვენგანმა არ იცის სიმართლე? რა ახსნა-განმარტებაა კიდევ საჭირო. ყველაფერს თავიდან ხომ არ დაფიქვებ. ვისაც მე მართლა ვთხოვე ცოლობა, ეს თვითონაც იცის და რატომღა უგდებს ყურს მეტოქის ყბედობას?! ცოლს რომ შეგერთავ, მაშინ ყველა დაინახავს, ვისაც შეგერთავ. მე თქვენ მიყვარხართ! მე თქვენ გეკუთვნით! თქვენს გვერდით ყველა ქალი ნამდვილი ჯოჯოა! ჯოჯო!

**სგანარელო:** თორმეტი შეიარაღებული მხედარი გამალებით დაგეძებთ, დაგეძებთ, გაგეცალოთ აქაუნობას.

**დონ ჟუანი:** ახლა მე წავალ, ერთ-ორ ბრძანებას გავცემ და თხუთმეტი წუთში ისევ დაგბრუნდება!

**სგანარელო:** გოგონებო, დამიგდეთ ახლა ყური, აქა მაქვს მე

იმ ქალების სია, თქვენსავით მწარედ რომ მოტყუვდნენ, თქვენც იმათი ბუდი მოგელით. გერმანიაში ასი, ორასი, ესპანეთში კი მილიონი. ჩემი ბატონი მატყუარაა. ყველას ცოლად შეერთვას პირდება, მაგრამ... *(შენიშნავს დონ შუანს)* მაგრამ, ტყუილია ეს ყველაფერი! ვინც ამას გეტყვით, ასე უთხარით, ტყუი-თქო. ჩემი ბატონი სულაც არ პირდება ყველას, ცოლად შეგერთავთ.

**დონ შუანი:** დიას!

**სგანარელი:** მოგესწებათ ბოროტი ენების ამბავი, ჰოდა, მე ამათ ვაფრთხილებდი.

**დონ შუანი:** ძალთა შეფარდება წამგებიანი გვაქვს, ამიტომ ცოტა ეშმაკურად მოგიქცეთ. სგანარელ, ჩემს ტანსაცმელში გამოეწყო!

**სგანარელი:** არავითარ შექმნეგაში.

**დონ შუანი:** ცოცხლად!

**სგანარელი:** *(მოკარნახესთან ჩაიხედავს ტექსტში)* სცენა წარმოადგენს ტყეს. ღმერთო, ის მაინც შექმნულე, რომ ნუ მომკლავ სხვისი სახელით.

*X შემოდის დონ შუანი და სგანარელი  
ეჭმის ტანისამოსში.*

**დონ შუანი:** ეგ სულელური ტანისამოსი სად გამოჩნრიკე?

**სგანარელი:** აი იქ გამოჩნრიკე.

**დონ შუანი:** შენ და სხვა ეჭმეები ნეტა რამ გავყით!

**სგანარელი:** როგორ, თქვენ მედიცინისაც არა გვამთ?!

**დონ შუანი:** არა.

**სგანარელი:** ქეშმარიტი წარმართის სული გაქვთ! ვერ ხედავთ, რა ამბავი ატყდა ამ ბოლო დროს სასაქმებელ ზეთზე? ყველამ ირწმუნა მისი სასწაულმოქმედება! ამ სამიოდე კვირის წინ ჩემი თვალთ ვნახე და განცვიფრებული ვარ.

**დონ შუანი:** მაინც რა ნახე ასეთი?

**სგანარეული:** ერთი კაცი ექვსი დღე კვდებოდა. რა არ დააღვევინეს, რა არ გაუკეთეს, არაფერმა არ უშველა. აღარ იცოდნენ, რა ექნათ და ბოლოს სასაქმებელი ზეთი მისცეს.

**დონ ჟუანი:** მერე, გამოჯანმრთელდა?

**სგანარეული:** არა, მოკვდა.

**დონ ჟუანი:** შესანიშნავი საშუალება ყოფილა!

**სგანარეული:** დიას, ექვსი დღე ხომ კვდებოდა და გერ მოკვდა, მისცეს და მაშინვე მოკვდა. წამლის მოქმედებაც ამას ჰქვია. შევეშვათ მედიცინას, თქვენ მისი მაინც არ გწამთ. სხვა თუმაზე ვისაუბროთ. აი ასე რომ გამოვიბრანქე, ახლა მგონია, ჭკუაც ცოტა მომემატა და სურვილი მაქვს გეკამათოთ.

**დონ ჟუანი:** სიამოვნებით!

**სგანარეული:** მინდა თქვენი აზრი გაგიგო, მართლა არა გწამთ ღმერთი?

**დონ ჟუანი:** ამაზე ნუ ვილაპარაკებთ.

**სგანარეული:** გამოდის, რომ არც ჯოჯოხეთი გწამთ.

**დონ ჟუანი:** ?!

**სგანარეული:** თუმცა ეს ხომ ერთი და იგივეა! ეშმაკი გწამთ?

**დონ ჟუანი:** ისე რა!

**სგანარეული:** იმქვეყნიურ ცხოვრებაზე რა აზრისა ხართ?

**დონ ჟუანი:** ხა, ხა, ხა!

**სგანარეული:** ბერმონაზვნობაზე რას ფიქრობთ?

**დონ ჟუანი:** ჯანდაბაშიაც წასულხნარ შენი სისულელებით!

**სგანარეული:** აქ კი აღარ დაგთმობთ. ბერობა და მონაზვნობა ნაღდი საქმეა. კი, მაგრამ, რაღაცის ხომ უნდა გწამდეთ! მითხარით, რა გჯერათ!

**დონ ჟუანი:** იცი რა, სგანარეულ, მე მჯერა, მაგალითად, რომ ორჯერ ორი ოთხია.

**სგანარეული:** გამოდის, რომ თქვენი რელიგია არითმეტიკაა. *(მიმართავს მოკარნახეს)* საოცარია, რაც უფრო მეტს სწავლობს კაცი, მით უფრო მეტი სისულელე უტრიალებს თავში. უმრავლესობას, ყოველ შემთხვევაში! აი მე.

მადლობა ღმერთს, არასოდეს მისწავლია, აბა ერთი დაიტრაბახოს ვინმემ, რომ რამე მასწავლა! ჩემი მოკლე ჭკუით და გამოცდილებით ყველა მწიგნობარზე უკეთ ვარკვევ ყველაფერს. მაგალითად იმას, რომ ეს სამყარო, რასაც ჩემი თვალთ ვხედავ, ერთ დამეში სოკოსავით არ გაიზრდებოდა. არა. მე თქვენ გეკითხებით, ვინ შექმნა ეს ხე? ეს კლდე? ეს მიწა? ეს ცა? თქვენ როგორ გაჩნდებით, მამათქვენს რომ დედათქვენი არ... აბა ადამიანს დაუკვირდით, რა ჭკვიანურად არის მოწყობილი! ეს ნერვები, ეს ძვლები, ვენები, არტერიები... ისინი... ფილტვები, გული, ღვიძლი და სხვა და სხვა... რატომ არ მაწყვეტინებთ? თუ არ მაწყვეტინებენ, კამათი არ შემიძლია.

**დონ ჟუანი:** გელოდები, როდის დაასრულებ მსჯელობას.

**სგანარელი:** დიან, მე ასე ვმსჯელობ: რაც არ უნდა მითხრათ, ადამიანის სხეულში არის რაღაც უჩვეულო, რისი ახსნაც მეცნიერებს არ შეუძლია. განა გასაოცარი არ არის, ვდგავარ მე აქ ჩემთვის, ჩემს ტვინში კი, რაღაცა თუ ვიღაცა, გამალებული ფიქრობს ათას საკითხზე. ჩემს სხეულს ხან რას უბრძანებს და ხან რას. მიბრძანებს, ტაში შემოჰკარაო, ხელები მაღლაო, აიხედო, დაიხედო, მარჯვნივ წადიო, მარცხნივ წადიო, წინ წადიო, უკან წადიო, მოტრიალდიო...

*(სცენის ორმოში ვარდება).*

**დონ ჟუანი:** შენ და შენი მსჯელობა ერთად იტყნავთ კისერს!

**სგანარელი:** სულელი ვარ, ნეტა რას გეკამათობთ! რა მესაქმება, გწამთ თუ არა გწამთ, კუპრში ჩაგადგებენ თუ არა.

**დონ ჟუანი:** ისე გავერთეთ, მგონი გზა დაგვებნა, ერთი იმ კაცს დაუძახე, გზა ვკითხოთ!

*XI დონ ჟუანი, სგანარელი, მათხოვარი.*

**სგანარელი:** ეი, ადამიანო, ძმაო! მეგობარო! გვითხარი, ქალაქში როგორ მოვხვდეთ!

**მათხოვარი:** აი ამ გზას დაადექით, ბატონებო, და ტყიდან რომ გახვალთ, ფრთხილად იარეთ, ამ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში ავაზაკები მომრავლდნენ.

**დონ ჟუანი:** გმადლობთ, ძმობილო.

**მათხოვარი:** მოწყალეობა მოიღეთ, ბატონებო!

**დონ ჟუანი:** აჰა, აი თურმე რა, შენი რჩევა ფასიანი ყოფილა!

**მათხოვარი:** მე ერთი საწყალი კაცი ვარ, ათი წელია ტყე-ტყე დავეხეტები. შემეწიეთ და სიკვდილამდე თქვენზე ვილოცებ!

**დონ ჟუანი:** ლოცვა თუ რამეს შეგლის, ილოცე და ღმერთი შეგეწიოს!

**სგანარელი:** კეთილო კაცო, შენ რომ ჩემს ბატონს იცნობდე, გეცოდინებოდა, რომ ორჯერ ორი ოთხია.

**დონ ჟუანი:** ტყეში რას აკეთებ?

**მათხოვარი:** დავდივარ და იმ ხალხზე ვლოცულობ, ვინც მოწყალეობას მაძლევს.

**დონ ჟუანი:** მაშ შენ გაჭირვებული კაცი არ იქნები!

**მათხოვარი:** გარწმუნებთ, ბატონო, სულს იქით არაფერი მახადია!

**დონ ჟუანი:** ეს როგორ, ამდენს ლოცულობ და რაიმე გაკლია?

**მათხოვარი:** დიან, ხშირად ლუკმა პური მენატრება!

**დონ ჟუანი:** უცნაურია, ღმერთმანი, შენი ერთგულება ცუდად ფასდება! აი, მე შენ ერთ ლუიდლოს მოგცემ, სამაგიეროდ ღმერთს შეაგნე!

**მათხოვარი:** რას ბრძანებთ, გინდათ ცოდვა ჩამადენინოთ?!

**დონ ჟუანი:** შენი ნებაა. შეაგინე და თქროს ლუიდლოს მიიღებ!

**მათხოვარი:** ბატონო...

**დონ ჟუანი:** არა და არ მიიღებ!

**სგანარელი:** მიდი, ერთი-ორი შეაგინე, რა დიდი ცოდვა ეს იქნება!

**დონ შუანი:** აბა!

**მათხოვარი:** არა, ბატონო, შიმშილით სული რომ ამომძვრეს, მაგას არ ვიზამ!

**დონ შუანი:** კარგი, კარგი, ისე მოგცემ! იქ რა ხდება, სამნი ერთს ეჩნებებიან! არა, ამას არ დაფუშებ!

*(დაშნას იშიშვლებს და გარბის).*

*XII დონ შუანი, დონ კარლოსი, სვანარელი.*

**დონ კარლოსი:** *(დაშნას ჩააგებს)* სენიორ! ნება მიბოძეთ, მაგ დიდსულოვნებისათვის მადლობა გადაგიხადო!

**დონ შუანი:** მოწყალეო ბატონო, ისეთი არაფერი ჩამიდენია, რასაც თქვენ არ გააკეთებდით, ჩემს ადგილას. როგორ ჩაუვარდით მათ ხელში?

**დონ კარლოსი:** ჩემს ძმასა და ჩვენს ამაღლას შექმნეგვით ჩამოვრჩი და ავაზაკებს გადავეყარე. ცხენი მომიკლეს და თქვენ რომ არა, ალბათ მეც მომიკლავდნენ.

**დონ შუანი:** გეუი საითა გაქვთ, ქალაქისაკენ?

**დონ კარლოსი:** დიას, მაგრამ ქალაქში არ მივდივართ. მე და ჩემი ძმა დავდივართ ერთი მეტად უსიამოვნო საქმის გამო, რაც აზნაურს აძულებს, თავისი თავი და ოჯახი შესწიროს პატიოსნების და ღირსების საქმეს.

**დონ შუანი:** ასეთი რა შეგეკმთხვათ?

**დონ კარლოსი:** როცა პატიოსნება შებღალულია, დამაღვას აზრი არა აქვს, რადგან უმჯობესია, ვისწრაფვით შურისძიებისაკენ. პირდაპირ მოგახსენებთ. ჩვენი და შეატყინა და მონასტრიდან გაიტაცა ვინმე დონ შუან ტენორიომ, დონ ლუის ტენორიოს ვაჟმა. ჩვენ მას დაგვიკებთ. დღეს დილით შევიტყვევთ, რომ იგი ოთხი თუ ხუთი კაცის თანხლებით ამ სანაპიროსკენ წამოსულა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მივაგვინით.

**დონ შუანი:** თქვენ მას იცნობთ?

**დონ კარლოსი:** არა. თვალითაც არასოდეს მინახავს, მაგრამ ჩემი

ძმა მიაშობდა, სხვებიც ისეთ რამეს ამბობენ...

**დონ ჟუანი:** უკაცრავად! უნდა მოგახსენოთ, რომ მე მას შესანიშნავად ვიცნობ და არ მსურს მის შესახებ ცუდი რამ მოვისმინო!

**დონ კარლოსი:** კეთილი, გაგზუმდები. თქვენ მე სიკვდილს გადამარჩინეთ, მაგრამ სულ მცირე, რაც მე დონ ჟუანის მიმართ შემიძლია გაგაკეთო, არის ის, რომ არაფერი ვილაპარაკო. არა მგონია, თქვენ თვითონ მოუწონოთ საქციელი.

**დონ ჟუანი:** პირიქით, მზად ვარ გემსახუროთ. მართალია, ჩვენ მეგობრები ვართ, მაგრამ იმის ნებას არ მივცემ, რომ შებღალთ თქვენი დირსება.

**დონ კარლოსი:** დანაშაული იმდენად მძიმეა, რომ არც ვიცი, როგორ ვაგებინო პასუხი!

**დონ ჟუანი:** როგორც ინებებთ, დამინიშნეთ დრო და ადგილი და მას მე თავად მოგვფროთ.

**დონ კარლოსი:** თქვენი ნათქვამი მაღამოდ ეცხება ჩემს შეურაცხყოფილ გულს, მაგრამ გამოგიტყდებით, იმდენად დამაგალებთ, რომ მიმძიმს მის სკკუნდანტად თქვენი ხილვა.

**დონ ჟუანი:** დონ ჟუანი ჩემთვის მეტად ახლობელია. გალდებულები ვარ, მის გვერდით ვიყო ჭირშიც და ღნინშიც. მის მაგიფრად გეუბნებით, თითქოს ჩემს მაგიფრად ვამბობდე, რომ მზად არის, პასუხი ვაგცეთ, სადაც ინებებთ და როგორც ინებებთ.

**დონ კარლოსი:** ო, რა სასტიკად დამცინის ბედი! თქვენ მე სიცოცხლე მაჩუქეთ, დონ ჟუანი კი თურმე თქვენი ახლობელია!

*XIII დონ ალონსო, დონ კარლოსი, დონ ჟუანი, სვანარელი.*

**დონ ალონსო:** ცხენები წყალზე ჩაიყვანეთ და უკან მომყევით. ო, ღმერთო! ამას რას ვხედავ! როგორ, თქვენ, ჩემო ძმაო, ჩვენს დაუძინებელ მტერთან ვხედავთ?



**დონ კარლოსი:** ჩვენს დაუძინებელ მტერთან?

**დონ ალონსო:** *(დაშნას იშიშვლებს)* მოღალატეც, სიკვდილს ვეღარ გადაურჩები!

**დონ კარლოსი:** შეჩერდით, ძმაო! მან მე სიკვდილს გადამარჩინა, ეგ რომ არა, ავაზაკები მომკლავდნენ!

**დონ ალონსო:** შურისძიებას ეგ ხელს არ უშლის!

*(ერთდროულად ლაპარაკობენ).*

**დონ კარლოსი:** გეგუდრებით, ძმაო...

**დონ ალონსო:** ტყუილად ცდილობთ, ის უნდა მოკვდეს!

**დონ კარლოსი:** შეჩერდით, ძმაო, გუუბნებით, ნებას არ მოგცემთ, მოკუსწრაფოთ თქვენ მას სიცოცხლე. გამჩენსა ვფიცავ, არ დაგანებებთ! რადგან ანლახანს მან დამიცვა, ანლა მე ვიცავ.

**დონ ალონსო:** მაშ მტერს ემხრობით!

**დონ კარლოსი:** ზომიერება შურისძიებაშიც შეიძლება. ნუ დაგეარგავთ ღირსების გრძნობას, ჩვენი რისხვა გონების ძალას დაგუმორჩილოთ და არა ბრმა ვნებათაღელვას. დონ ჟუან, ხედავთ, ყოველნაირად ვცდილობ, რომ სიკეთე სიკეთითვე გადაგინადოთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ასეთივე მონდომებით შევეცდები შეგასრულო ჩემი მოვალეობა. რა გვაწყენინეთ, თქვენ ეს იცით და ისიც იცით, რას იმსახურებთ სამაგიეროდ. პასუხს ნუ ჩქარობთ, მოიფიქრეთ და აირჩიეთ, ან მშვიდობიანი მოლაპარაკება ან სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელს აირჩევთ, თქვენს ნებაა.

**დონ ჟუანი:** სიტყვა სიტყვაა!

**დონ კარლოსი:** წავედით, ძმაო, წამიერი ღმობიერება ვერ შეაწელებს შურისძიების სასტიკ გრძნობას.

*XIV დონ ჟუანი, სგანარელი.*

**დონ ჟუანი:** სგანარელ!

**სგანარელი:** დიან, ბატონო!

**დონ ჟუანი:** ყოჩად, სგანარელ, მე თავს მესხმიან, შენ კი იმალები.

**სგანარელი:** შორს ხომ არსად წაგსულგვარ, აქვე ვიყავი. ეს ტანსაცმელი ისეთი რამეა, ჩაიცვამ თუ არა, თითქოს სასაქმებელი წეთი დაგელოს.

**დონ ჟუანი:** იცი, მე ვინ გადავარჩინე?

**სგანარელი:** არა, არ ვიცი...

**დონ ჟუანი:** ელვირას ძმა.

**სგანარელი:** დონია ელვირას?..

**დონ ჟუანი:** რა ძმა ჰყლია! წესიერი, პატიოსანი, თავაწიანი, სამწუხაროა, რომ ჩვენს შორის მტრობა ჩამოვარდა.

**სგანარელი:** გამოსწორება შეიძლება!

**დონ ჟუანი:** ჰო, მაგრამ სიყვარულში თავისუფლება მიყვარს, გულს ოთხ კედელში ვერ გამოგვეტავ. რამდენჯერ აგისხენი, სისხლში მაქვს გამჯდარი. ეს რა არის?

**სგანარელი:** არ იცით?

**დონ ჟუანი:** არა.

**სგანარელი:** კომანდორის აკლდამაა, მაგის დაკვეთა მოასწრო და მოკალით კიდევც.

**დონ ჟუანი:** ჰო, მართალია, მაგრამ აქ თუ იყო, ის არ ვიცოდი. ამ აკლდამაზე და კომანდორის ქანდაკებაზე მეტად უცნაური ხმები გაგრცეკდა. შევიდეთ, ვნახოთ!

**სგანარელი:** შიგ ნუ შევალთ!

**დონ ჟუანი:** რატომ?

**სგანარელი:** როგორ, მიხვიდეთ იმ კაცთან, ვინც მოკალით?

**დონ ჟუანი:** მერე რა მოხდა. თავაწიანი საქციელია. თუ ის წრდილი ბიროვნებაა, კარგად მიგვიღებს. მოდი, შევიდეთ.

*(შედიან).*

**სგანარეული:** რა ღამააზია! რა ქანდაკებები დგას! რა მარმარილოა, რა ღამააზი სვეტებია!

**დონ შუანი:** ჯერ არ მინახავს, მიცვალებულის პატივმოყვარეობა აქამდე მისულიყოს. საოცარია, სიცოცხლეში ერთ ჩვეულებრივ სახლში ცხოვრობდა, ხოლო სიკვდილის შემდეგ, როცა მას აღარაფერი სჭირდება, ასეთი დიდებული განსასვენებელი მოუსურვებია.

**სგანარეული:** აი, კომანდორის ქანდაკება!

**დონ შუანი:** დაღანგრის ეშმაკმა, როგორ შეგნის რომელი იმპერატორის სამოსელი!

**სგანარეული:** როგორ გამოუქანდაკებიათ, სენიორ, ხელ ცოცხალსა ჰგავს. გეგონება, საცაა დაილაპარაკებხო. როგორ გვიყურებს! მე მგონი, ჩვენი დანახვა არ ესია მოგნა!

**დონ შუანი:** ძალიანაც ცუდი! ასე მოქცევა უზრდელობაა! აბა შეეკითხე, ვანშად ხომ არ დამეწვევა?

**სგანარეული:** ვანშამი აღბათ არ სჭირდება!

**დონ შუანი:** შეეკითხე!

**სგანარეული:** თქვენ ხუმრობთ. გიჟი ხომ არა ვარ, ქანდაკებას ველაპარაკო.

**დონ შუანი:** გააკეთე, რაც გითხარი!

**სგანარეული:** სენიორ კომანდორ!.. რა ხელეღურად ვიქცევი, არა, სენიორ კომანდორ, ჩემი ბატონი დონ შუანი გეკითხებათ, ვანშად ხომ არ დამეწვევითო. ვაი!

**დონ შუანი:** რა მონდა? რა დაგეჟართა? ნმა ამოიდე!

**სგანარეული:** ქანდაკება...

**დონ შუანი:** რა, რა მონდა...

**სგანარეული:** რა და ქანდაკებამ...

**დონ შუანი:** ქანდაკებამ რა... თქვი, თორემ ხელს გაგაფრთხობინებ!

**სგანარეული:** თავი დამიქნია.

**დონ შუანი:** სტყუი!

**სგანარეული:** მართლა. თავი დამიქნია. გეფიცებით.

**დონ შუანი:** წამოდი, წამო, შე მშიშარა, შენა! სენიორ! კომანდორ! ვანშამზე დამეწვიეთ! *(ქანდაკება თავს აქნევს).*

**სგანარელი:** აი! ახლა რაღას, რაღას იტყვით?!

**დონ ჟუანი:** წავიდეთ აქედან!

**სგანარელი:** *(მოკარნახეს)* ასე მოუხდება, ვისაც არაფრის არ სჯერა!

*XV დონ ჟუანი, სგანარელი.*

**დონ ჟუანი:** არაფერიც არ მომხდარა, ორივეს მოგვეჩვენა. ჩრდილ-სინათლე ათამაშდა, ან რამე ამდაგვარი და ილუზია შეგვექმნა!

**სგანარელი:** თავს იტყუებთ, სენიორ! კარგად დაფიანეთ, თავი დააქნია. ღმერთს არ მოსწონს თქვენი საქციელი და ეს სასწაული მოგივლინათ, რათა...

**დონ ჟუანი:** ერთხელაც დამარიგებ ჭკუას, და იცოდე, ზურგს ავიჭრელებ! გასაგებია?

**სგანარელი:** დიან, გასაგებია!

**დონ ჟუანი:** ჰოდა, ძალიანაც კარგი! ახლა უბრძანე, განშამი მომართვან! *(მეძავს ეფერება)*

**მოკარნახე:** დედა! რას ჰგავს, ეს უპატრონო, ფუჰ! ვინ გითხრა, ასე ტიტველი გამოდიო. სიკვდილი შენ, შე უპატრონო, მოგესპო სიცოცხლე!

*XVI დონ ჟუანი, სგანარელი.*

**სგანარელი:** მამა გეახლათ!

**დონ ჟუანი:** ეგლა მაკლდა!

*XVII დონ ლუისი, დონ ჟუანი, სგანარელი.*

**დონ ლუისი:** ხელი ხომ არ შევიშალეთ? ვატყობ, ჩემი დანახვა არ გესიამოვნათ. ჩვენ ორივემ მოვბეზრეთ ერთმანეთს თავი, მე ჩემი გაუთავებელი სტუმრობით, თქვენ კი მაგ ქარაფშუტობით! ო, როგორ შევთხოვდი ღმერთს,

გაფიშვილი მომეცი-მეთქი. რა გამოვიდა, რა მომიტანეთ, ტანჯვისა და მწუხარების გარდა?! როგორ ვუცქეროთ თქვენს ამდენ უღირს საქციელს, ან იმ ბოროტებათა ჯაჭვს, რომელთა გამო იძულებული ვარ, მეფის სიკეთე ბოროტად გამოვიყენო. თქვენი მიზეზით ჩემი ადრინდელი დამსახურებანი არარად მოსჩანს! ასე როგორ დაეცით, არცხვენთ ჩვენს გვარს, ჩვენს წოდებას! მხოლოდ გერბი და გვარი არ კმარა იმისათვის, რომ ვთქვათ, ჩვენს ძარღვებში კეთილშობილი სისხლი სჩქევსო. არა და არა! წინაპართა სახელები გვაძულებენ, მათ მიგბადით, მხოლოდ მაშინ ვართ მათი ჭკუშმარიტი შთამომავალი! გვარი რა არის, როცა წინაპრები თქვენში თავიანთ სისხლს ვერ ხედავენ. მათი დიდება ჩინააღდანია, რომლის შუქი სამარცხვინო თქვენს ქცევას აჩენს. გაიგეთ, ბოლოს და ბოლოს, კეთილშობილების პირველი ნიშანი პატიოსნებაა! ადამიანი გვარიშვილობით კი არ ფასობს, არამედ საქციელით და ჩემს თვალში ვიდაც მეკუჭნაგის გაფი, თუ ის პატიოსანი კაცია, ბევრად მაღლა დგას მეფის გაფიზე, თუკი იგი თქვენსავით ცხოვრობს.

**დონ ჟუანი:** დაბრძანდით, ბატონო, უფრო მოხერხებულად ილაპარაკებთ.

**დონ ლუისი:** არა, მე არც დაგჯდები და არც აღარაფერს ვიტყვი. ჩემს ნათქვამს თქვენთვის ფასი არა აქვს. გაფრთხილებ, ჩემო უღირსო შვილო, იძულებული ვარ, უკიდურეს ზომას მივმართო, მალე დაგაწევე ღვთის რისხვას, რათა ამით ჩამოვირეცხო ჩემი სინცხვილი.

### *XVIII დონ ჟუანი, სვანარელი.*

**დონ ჟუანი:** *(მამამისის მისამართით, თუმცა იგი უპასუვ გაგვიდა)*  
გარდაიცვალეთ, რაც შეიძლება ჩქარა, ამაზე უკეთესს ვერას იზამთ!

**სვანარელი:** როგორ ელაპარაკებით მამას!

**დონ ჟუანი:** როგორ ველაპარაკები?

**სგანარელი:** ცუდად სენიორ, ცუდად. რას დამჯდარხართ და უსმენთ. ერთი მოადეთ კისურში და გააგდეთ! რა თავსელობაა! მოდის მამა და შვილს საყვედურებს ეუბნება, ცუდად ნუ იქცევით, გახსოვდეს, ვისი გგარისა ხართ. თითქოს არ იცოდეთ, როგორ უნდა იცხოვროთ! პირდაპირ გაოცებული ვარ, რამდენს ითმენთ, თქვენს ადგილას მე მაგდენს ვერ მოვითმენდი!

**დონ ჟუანი:** ვახშამს მადირსებთ თუ არა?

*XIX დონ ჟუანი, სგანარელი, დონია ელვირა.*

**დონია ელვირა:** ალბათ გაოცებთ ჩემი სტუმრობა, დონ ჟუან, მაგრამ მიზეზი სასწრაფოა და დაყოვნება არ შემიძლო. მე ის დონია ელვირა აღარა ვარ, შურისძიებას რომ ფიქრობდა. მე თქვენ ჯერ კიდევ მიყვარხართ და ამ წმინდა სიყვარულმა მომიყვანა აქ, თქვენთან, რათა დავიხსნა თქვენი სული, რომელიც საცაა, ქვესენელში უნდა დაითქას! მონანიეთ ცოდვები, თორემ უბედურება არ აგცდებთ. ჩქარა, დრო ცოტა დარჩა, ალბათ ერთი დღე, მეტი არა. მადლი უფალს, რომ ჩემი წინანდელი ცოდვები სულ გამიფანტა. ყოველივე ამქვეყნიური უცნობა ჩემთვის. გემუდარებით, დონ ჟუან, თქვენი გულისთვის, ჩემი სიყვარულის გულისთვის იხსენით თქვენი სული! იხსენით სული! ხოლო თუ იმ ქალის ცრემლი არაფერია, ვისაც თქვენ თავზე მეტად უყვარდით, მაშინ გაფიცებთ იმას, რაც ყველაზე ძვირფასია თქვენთვის. ამის სათქმელად გეახელით. მიგდივარ.

**დონ ჟუანი:** გვიან არის. ქალბატონო, დარჩით, ნუ წახვალთ. კარგად მოგასვენებთ.

**დონია ელვირა:** არა, დონ ჟუან, არ დავრჩები.

**დონ ჟუანი:** დიდად მაამებთ, ქალბატონო, თუკი დარჩებით!

**დონია ელვირა:** არა, არა, ტყუილად ირჯებით, უნდა წავიდე.

*XX დონ ჟუანი, სგანარელი.*

**დონ ჟუანი:** საჭიროთა, საჭიროთა! ერთი ოცი-ოცდაათი წელი ვიცხოვროთ ადამიანურად, როგორც ჩვენ გვინდა და მერე შეიძლება სულზეც იფიქროს კაცმა.

**სგანარელი:** თოთ!

**დონ ჟუანი:** რა მოხდა?

**სგანარელი:** არაფერი.

*(იწყება სპირიტის სეანსი).*

**სგანარელი:** მკვდართა სულების სელმწიფეკ, გსურთ თუ არა ჩემთან საუბარი?..

გსურთ თუ არა? გთხოვთ გამოიძახოთ სენიორ კომანდორის სული!!!

**დონ ჟუანი:** სენიორ კომანდორ, ვანშმად ხომ არ მეწვევით?

*XXI დონ ჟუანი, სგანარელი, კომანდორის ქანდაკება.*

*(შემოდის კომანდორის ქანდაკება).*

**დონ ჟუანი:** სკამი მოართვით! *(დონ ჟუანი და ქანდაკება დასხდებიან. სგანარელს)* შენ რატომ არ ჯდები?

**სგანარელი:** მე... აღარ მშია.

**დონ ჟუანი:** სენიორ კომანდორს დგინო მოართვით! კომანდორს გაუმარჯოს! სგანარელ! დალიე!

**სგანარელი:** აღარ მინდა, სენიორ!

**დონ ჟუანი:** დალიე და კომანდორს უმღერე რამე!

**სგანარელი:** მე... ხმა აღარა მაქვს!

**დონ ჟუანი:** არაფერია, მაინც იმღერე.

**ქანდაკება:** კმარა, დონ ჟუან, ხვალ ვანშმად ჩემთან გეპატიუებით. გაბედავთ მოსვლას?

**დონ ჟუანი:** დიას და სგანარელსაც თან წამოვიყვან.

**სგანარელო:** გმადლობთ, მაგრამ სგალ უნდა დაგეთხოვოთ.

**დონ ჟუანი:** *(სგანარელოს)* ჩირაღდანი აიღე!

**ქანდაკება:** ღვთის გამოგზავნილს შუქი არ სჭირდება.

**დონ ჟუანი:** არა, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება! სგანარელო, რამე უნდა გიღონო.

*XXII დონ ჟუანი, სგანარელო, დონ ლუისი.*

**დონ ლუისი:** ნუთუ მოწყალე ზეცამ შეისმინა ჩემი ვედრება! მართალს მეუბნები, შვილო ჩემო, რომ არ მატყუებ?! როგორ დაგიჯერო თქვენი მოქცევა?!

**დონ ჟუანი:** დიახ, გამოგსწორდი. გადაგწყვიტე, გამოვისყიდო ჩემი ცოდვები. მეც ვეცდები და თქვენც მომეხმარეთ. მაპოვნინეთ ისეთი კაცი, ვისაც მივენდობი და გაგყვები!

**დონ ლუისი:** ჩემო შვილო, რა ადვილად ბრუნდება მამობრივი სიბოლ და რა სწრაფად იშლება შვილის მიერ მიყენებული ტკივილი. მაგ სიტყვებმა სინარულის ცრემლი მომგვარა. მოდი, უნდა გადაგესვიო! ახლა კი დედაშენთან გავიქცევი და ვახარებ, რომ ზეცამ ისება და მოგგანიჭა ეს უსაზღვრო ბედნიერება!

*XXIII დონ ჟუანი, სგანარელო.*

**სგანარელო:** რა ბედნიერი ვარ, სენიორ, რომ იცოდეთ.

**დონ ჟუანი:** რა სულელი ხარ!

**სგანარელო:** სულელი?

**დონ ჟუანი:** მართლა დაიჯერე? გგონია, რაც ვთქვი, იმას გფიქრობ?

**სგანარელო:** არა? მაშ... ეს... თქვენ...

**დონ ჟუანი:** არაფერიც არ მომხდარა. რაც ვიყავი, ისეც ისა ვარ.

**სგანარელო:** მოსიარულე და მოლაპარაკე ქანდაკება არ გაშინებო?



**დონ ჟუანი:** მაგაში რადაც უცნაური აშკარად არის, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მე ჩემსას მაინც ვერაფერს ვაღამარწმუნებს. მამასთან ასე ლაპარაკი საჭირო იყო, რადგან მამაა და მე ის მჭირდება. შენ კი, სიმართლეს გეუბნები და მინარია, ვიდაცასთან მაინც არ ვიტყუები.

**სგანარული:** არაფრის არ გწამთ. გინდათ კი რომ კარგ კაცად მოაჩვენოთ ყველას თავი.

**დონ ჟუანი:** რატომაც არა. მიმოიხედე. ჩემს გარდა, სხვას არაფერს უკეთია ეგ ნიღაბი? დღეს აღარაფრის არ რცხვენიათ. პირფერობა მოდაში შემოვიდა. კარგი კაცის როლი ყველაზე ადვილია სათამაშოდ. ჩვენს დროში ფარისეულობა ფასდება. ხალხი კაცის ყველა მანკიურ თვისებას ჰკიცხავს, ფარისეულობა კი განსაკუთრებული თვისებაა, მას შეუძლია ყველას პირზე ხელი ააფაროს და ამიტომაც დაუსჯელი რჩება. პატიოსანი კაცი ცოდოა, რადგან მას სულელად თვლიან. შენ რა იცი, რამდენია ისეთი, ვინც მიაფუჩენა ახალგაზრდობაში ჩადენილი ცოდვები და ღვთისმოსავის მანტიას შეაფარა თავი. ხალხმა ხომ იცის, ვინ ვინ არის, მაგრამ აბა თუ იღებს ხმას? მეც ასე მოვიქცევი, ყველას გაგვიცხავ, საკუთარი თავის გარდა, ღვთისმსახურის როლს ავიღებ და ჩემს მტრებს ისე შევებრძოლები, ღვთის გმობას დაგწამებ და ხალხს მათზე ავამხედრებ. მსჯავრს ხალხს გამოვგატანებ. აი ასე უნდა, ჭკვიანი კაცი ყველა დროს მოეგება.

**სგანარული:** სხვა სიკეთესთან ერთად ორპირობა ვაკლდათ! ეს უკვე მეტისმეტია. არა, სენიორ, რაც გინდათ, ის მიყავით, ვერ გააზრდებთ. მცემეთ, თუ გინდათ, მომიკალით, მაგრამ გეტყვით. მოგესხენებთ, კოკა წყალზე ტყდებაო. ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა, არ მახსოვს რომელია, კაცი ჩიბია და ჩიბი ტოტზე წისო. ეს ტოტი ხეს აბია. ხეზე მოჭიდება კეთილი რჩევაა. კეთილი რჩევა ხშირად ლამაზ სიტყვებს სჯობია. ლამაზ სიტყვებს

სასახლეში ამბობენ სოღმე. ისინი მოდას მისდევენ. მოდა არის სულის თვისება. სული სიცოცხლის ნაწილია. სიცოცხლეს სიკვდილი მოჰყვება. ამიტომ ცაზე უნდა ვიფიქროთ. ცა დედამიწის თავზეა. დედამიწა ზღვა არ არის, არა. ზღვაზე ქარიშხალი იცის. იგი გემს ამხსნევს. ამიტომ საჭიროა დაკვირვება. ახალგაზრდებს არა აქვთ დაკვირვება. ამიტომ მოხუცებს უნდა უსმინონ... მოხუცებს ქონება უყვართ, ქონება სიმდიდრეა. მდიდარი ღარიბი არ არის, არა. გაჭირვებამ კანონი არ იცის, და ვინც კანონი არ იცის, ბირუტყვივით ცხოვრობს, ესე იგი ჯოჯოხეთში მონვდებით, შიგ კუპრში!

**ღონ ჟუანი:** რა მჭკვრემეტყველებათ, სგანარეღ.

**სგანარეღი:** თუ ისევ თქვენსას ფიქრობთ, მით უარესი თქვენთვის.

#### *XXIV ღონ კარლოსი, ღონ ჟუანი, სგანარეღი.*

**ღონ კარლოსი:** რა კარგია, რომ შეგხვდით, ღონ ჟუან! აქ უფრო თავისუფლად ვილაპარაკებთ, გახსოვთ, მე ჩემს თავზე ავიღე საქმის მოვარება. ძალიან მინდა, მშვიდობიანად გადავწყვიტოთ ყველაფერი. ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემს დას კვლავ თქვენს მეუღლედ გამოვაცხადებთ.

**ღონ ჟუანი:** რა საწყენია! მე, რასაკვირველია, ყველაფერს ისე გავაკეთებდი, როგორც მეუბნებით, მაგრამ დემერტიმა სწავგარად ინება. დიახ, მან ჩამაგონა, რომ განკურნდო მიწიერ ყოფას, განდევლობით გამოვისყიდო ახალგაზრდობაში ქარაფშუტულად ჩადენილი მძიმე ცოდვები!

**ღონ კარლოსი:** კანონიერი ცოლი მაგაში ხელს არ შეგიძლით.

**ღონ ჟუანი:** როგორ არა. შემიშლის! თანაც თქვენმა დამაც ჩემსავით გადაწყვიტა. იგი მონასტერში აპირებს დაბრუნდეს.

**ღონ კარლოსი:** მისი მონასტერში დაბრუნება შეიძლება აიხსნას

იმით, რომ თქვენ ის უარყავით, ეს ჩვენი დამცირებაა, ჩვენი მოფითხოვთ, რომ თქვენთან იყოს.

**დონ შუანი:** ეს შეუძლებელია. დიან! სწორედ დღეს ვეკითხებოდი ზეცას, როგორ მოვიქცე-მეთქი. ხმა ჩამომესმა, ელვირაზე ფიქრს თავი დაანებეთ. ამაში იქნება შენი სულის ხსნაო.

**დონ კარლოსი:** რა სისულელია. მაგით გინდა მომატყუო?!

**დონ შუანი:** ეს ღმერთს სურს ასე!

**დონ კარლოსი:** გამოდის, რომ ჩვენი და მონასტრიდან იმისათვის გამოიტაცეთ, რათა შემდეგ კვლავ მიატოვოთ!

**დონ შუანი:** ასეთია უფლის ნება.

**დონ კარლოსი:** ჩვენმა თჯახმა ეს დამცირება უნდა აიტანოს?

**დონ შუანი:** ღმერთს დაეკითხეთ!

**დონ კარლოსი:** რა არის, მართლა და მართლა, ღმერთი და ღმერთი!

**დონ შუანი:** დიან, ღმერთის ნება გარდუვალია!

**დონ კარლოსი:** გასაგებია. ეს დაფა სწვაგვარად უნდა გადაწყდეს. სულ მალე გადაწყდება კიდევ.

**დონ შუანი:** ისე მოიქცით, როგორც გეხებოთ. მოგეხსენებათ, მშიშარა არ განლაგართ და დაშნის ხმარება ვიცი. ანლა აი იმ უკაცრიელ ვიწრო შუკას გაფუყვები მონასტრისაკენ. ჩხუბი არა მსურს, რადგან ღმერთს არც ეს ეამება, მაგრამ თუ თავს დამეხსმებით, მაშინ ვნახოთ!

**დონ კარლოსი:** ვნახოთ. დიან, სწორი ბრძანებაა, ვნახოთ!

### *XXV დონ შუანი, სვანარელი.*

**სვანარელი:** რა უცნაური ლაპარაკი ისწავლეთ, სენიორ, რას არ აკეთებდით, მაგრამ ეგ ყველაფერზე უარესია. უნდა დაგეთხოვოთ.

**დონ შუანი:** კარგი, კარგი. ღმერთი არც ისეთია, შენ რომ გგონია.

*XXVI დონ ჟუანი, სვანარელი, მოჩვენება.*

**სვანარელი:** სენიორ, ღმერთის მოციქული გვესტუმრა, რადაცას გვანიშნებს!

**დონ ჟუანი:** გარკვევით მითხრას, რა უნდა!

**მოჩვენება:** დრო არ იცდის, დონ ჟუანმა უნდა გადაწყვიტოს, მოინანიებს თუ არა ცოდვებს. არა და დადუბუგა ელის!

**დონ ჟუანი:** ხმა მეცნობა!

**სვანარელი:** მოჩვენებაა, სენიორ, სიარულზე ვატყობ!

**დონ ჟუანი:** მოჩვენებაა, მეორედ მოსვლაა, თუ სატანაა, თქვას, რა უნდა!

**სვანარელი:** სენიორ, მოინანიეთ, ჩქარა!

*XXVII კომანდორის ქანდაკება,  
დონ ჟუანი, სვანარელი.*

**ქანდაკება:** შეჩერდი, დონ ჟუან! გუშინ შეძმირდით, ვაზშმად გეწვევით.

**დონ ჟუანი:** სიამოვნებით, საით?

**ქანდაკება:** დონ ჟუან! ცოდვილი კაცი იმსახურებს საწარულ სიკვდილს! ურცხვი ღვთის რისხვას ვერ გაექცევა!

**ქანდაკება:** სელი მომეცი!

**დონ ჟუანი:** აჰა, ჩემი სელი!

*XXVIII*

**სვანარელი:** ჩემი ჯამაგირი, ჩემი ჯამაგირი! დონ ჟუანის სიკვდილი ყველას აწყობს, განრისხებულ ზეცას, შეცდენილ ქალებს, შერცხვენილ ოჯახებს, შეურაცხყოფილ ქმრებს – ყველას, ყველას, ჩემს გარდა. ჩემი ჯამაგირი, ჩემი ჯამაგირი!

XXX

**მოკარნახე:** შეეშინდათ, ბატონებო, სელისუფლების დეგნისა, დიდგვაროვანი პირის მოკვლის გამო და ეშმაკობას მიმართეს: შეიტყუეს დამით აკლდამაში და მოკლეს... მერე ხმა გაავრცელეს, თითქოს დონ ჟუანი აკლდამაში შეიპარა, შეურაცხყოფა მიაყენა სტატუას, რომელიც გაცოცხლდა და ქვესკნელში წაიყვანა!

XXX

*სცენის ხიდრმეში ნათდება აფროვამლილი ნაჲი, რომლითაც  
დონ ჟუანი მშვენიერ ქაღობატონებთან ერთად  
მარადისობაში მიცურავს.*